



სამეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 4 — 1917  
კვირა იანვარი 22

წელ. მისთვის ფასი  
გამოსცემისა 15 კ.



შინაარსი

- 1, მეთაური—მშობა თუ მტრება . . . . . 2
- 2, ივ. გომართელი—ფაშაფაშვილი . . . . . 3
- 3, ილ. მოსაშვილი—ფარდა დამკვანარი . . . . . 4
- 4, ვ. გუდიაშვილი—ქეროვის შვილი . . . . . 5
- 6, სიო კალანდარიძე—ის მიდიდა . . . . . 7
- 7, შაზირა—ნაღვი ანუ აშუღობა . . . . . 8
- 8, იოზ. ჯინორიძე—ვანზე . . . . . 8
- 9, ბ. პელაშვილი—დღეს მე . . . . . 9
- 10, თიანელი—თეატრი . . . . . 10
- 11, გრ. საქარქველი— მოსუ მწერალი 10
- 11, მიშო—სოფლის ფარაში (ფაფაზანის პიესა) . . . . . 12
- 12, გ. ჯაბაური—სახლხო თეატრის ისტორია . . . . . 13
- 13, გლეხი დ სოლოლაშვილი—მოწოდებელი ნადგევი . . . . . 14
- 14, სახიობი, წვრილი ამბები. სურათები.

აკაკი—ბავშვთა მრეწარული  
გარდაცვალების ორი წლის თავი იანვრის 25



ინფორმაცია 22

ძმობა ერთმა სულელმა ქაში ქვა ჩაავლო თუ ასმა ბრძენმა ვერ ამოიღო, რომ მტრობა? იტყვიან, სწორედ ამ ანდაზას მოგვაგონებს ზოგიერთ იმ ეგრედ წოდებულ „სახოგადო მოადგაწის“ საქციელი, ჩვენს მძურმეზობლურ ურთი ერთობას რომ არღვევს.

განა წარსულ შავ დროებში ნაკლები ზიანი ენახებოდა ურთიერთის კბენით, რომ ეკლავაც ამ გვას დაედგებო?

რა მოხდა?

გაქირებებში ჩაკვირებულ ქართველ მაკმიდიანთა შორის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მოღვაწეობს, დევნულ-შევიწროვებულთ მფარველობს, სკოლებს უხსნის, პურს არსობისას აწოდებს, და აქ თითო-მისულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულნი ხელს უშლის, წინ ელობება... იწერება წერილები და წარამარა შემოსროლილ სიტყვებით ლამის ძირი გამოუთხარონ იმ ერთობის შენობას, რომელიც ასე საქირაო ყოველი მეზობლურად მცხოვრები ხალხის ბედნიერებისათვის...

შავ-ბნელ საუკუნეთა შემდეგ ძლიერ დაკარგული ძმები გულს ჩაეკარათ, ძლიერ ძველი საქართველო წარმოებრდებდა, ძლიერ სარწმუნოებრივ გამოუსულმანებულნი, ხოლო გვარტომობით, სისხლბორცით და ერთ ისევე ძველი მესხი, ძველი ნამდვილი ქართველის თესლი შემოგვდალადებს— გვიშველეთ, ჩვენ ხომ ერთი დღეს შეიღობი ვიყავით, ისტორიულმა უკულმართობამ ჩამოგვაშრა თქვენს თავს, საერთო კერას, ხელი გამოგვიწოდეთ და ისევე აღვზღვებთო და— ამ დროს .. ზოგიერთი ავტობატონი გვეცილება: ქართველი მშვიდნიანები მუსულმანები არიანო, და მუნ მძურ-მოყვასისებურ მოქმედებაში ხელს გვიშლიან!

აი შავი ძალა, შეითანისაგან წარმოშობილი, რომელიც ხელს უცარავს იმ მაღალი აზრის განმტკიცებას, მაშინდინათა ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, მ-მა თოფჩიბაშევმა, აკაკის კუხრის წინაშე რომ წარმოსთქვა: „იხსნაგვრ და სხვაგან იხსნაგვრ!“

სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანე-

ლობდა ქართველი თავის ძველ ისტორიულ ცხოვრებაში. მას-კი არავინ ინდობდა...

და არც დღეს ინდობენ!

რა ვუყოთ, რომ დღეს ექარა-ქობულეთი და იმერხე-შავშეთი, სამცხე-საათაბაგო, ეს ილი აკვანი ჩვენი ბრწყინვალე წარსულისა, მთლად სამუსულმანო საქართველო მაშინდის სჯულს აღიარებს? განა ეს ამტკიცებს, რომ იგინი ნამდვილი ქართველები არ არიან? განა დღეს მაინც სჯულს ეგოდენი დიდი მნიშვნელობა აქვს?

ასე რომ ყოფილიყო, ნეტარხსენებულ და დიდი სწავლული ჩვენი ანტონ კათალიკოსი კათალიკობაზე გადასვლას ხომ არ ისურვებდა, ოღონდ ეროვნება დაეცვათო?

ვინ იცის, იქნება სხვა სჯული რომ მიგველო, დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი საშა-არაო არა ყოფილიყო...

ქართველი ერთი არასოდეს არ ყოფილა ვისიმე სჯულის შემავიწროვებელი, —სჯული, სარწმუნოება ხომ სინდისის საქმეა და ამასთან ჩვენ ხელი არასოდეს არა გვექონია, არც გვექმება.

განა ჩვენი დიდებული, მძლავრი და დღეს წმიდათა შორის შერიცხული, მეფე დავით აღმაშენებელი არ იყო სხვა სჯულის მერეთ-სამლოცველოებს რომ დიდის პატივით ეკურობოდა, რასაც არაბთა მისტორიებიც კებით იხსენიებენ?

დიდი! ქართველი სხვის სჯულს არასდენიდა, —საქართველოში კარგად თავსდებოდა სხვადასხვა სჯული, —ხვანი თუ გვაგიწროვებდენ, ძალათი ანუ მლიქვნელობით უცხო ტიპიკონსა გვჩრდიდენ ხელში და ჩვენს სულში ხელებს აფათურებდენ...

არც ჩვენ შევცხებით ქართველ მუსულმანთა სჯულის საქმეს. სამაგიეროა რომ იგინი ჩვენი ძმანი არ-ან და მათზე ზრუნვა მხოლოდ ჩვენი უდიდესი და უპირველესი ვალია, ამაში ეკვი ნურავის დაებადება და ვისაც ჩვენი ძმობა მეზობლობა გულის სიწმინდით უნდა— აქ ხელს არ შეგვიშლის, წინ არ გადაგვედობება!

ქართული წიგნი, ქართული თეატრი, ქართული კულტურა, ქართული აზროვნება, — აი რა უნდა გავრცელდეს ქართველ მშაბ-



დინათა შორის ეს არის ჩენი რწმენა და ამ-  
ში პირველობას ვერავის დ ვუთობთ, ვიდრე  
ჩენი მე, ჩენი თვითშეგნება გზას გვინა-  
თებს...-

ეს იცოდეს ყველამ!  
ვინ იცის, იქნება დრო მოვიდეს და  
თვ თონ ჩვენც საჯული ვიცვალოთ, იღონდ  
ჩენი ეროვნობა, საკუთარი სახე, ჩენი ვი-  
ნაობა დავიცვათ!..

მაშ შორს ძმურ-მეზობლურ წმინდა  
წყლის ამღვრეველნი: რაც ჩენი ყოფილა—  
ჩენი უნდა იყოს და იქ ნუ შიან, სად დასაბამი-  
დან, შორსგულ წარსულში არა უთესნიათ რა.



## დამკენარი ვაჭდი

სისხლის ფერ მზის სხივთ დამიწვევს ვარდი...  
დამიქენეს ვარდი,—დამტოვეს ობლად...  
ოხ! რისთვის ნეტავ!... რისთვის მიყვარდი?...  
ოხ! რისთვის ვიყავ, ნეტავ, შენს მკობლად...  
უმთავრო ღამით დავიარბეი,—  
და გეტებ ისევ... დაგეტებ მარად...  
ვაჰ, კვლავ ბტყვია გულს იარბეი,—  
თუ ვერ გპოვებდი—მიყვარდი მა რად?!  
გველი წვეს ვარდზე,—ვარდი ობლად სტირს.  
ტყვედ ქმნილმა სატრფომ ვით შემეყვაროს?!  
ცრემლით ვსვევლებ დამკენარ ვარდის ძირს,—  
იქნება ტურფავ ისევ იხაროს!...

ილ. მოსაშვილი



## ფაშალიშვილი

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მთ კაეზანს ვერღა ვიშორებ.

ნ ბარათაშვილი.

არის პოეტი, რომლის სახეც თქვენთვის  
პირველ ლექსიდანვე ნათელია. ის მალე ჰპო-  
ვნეს თავის ხედვრს, მალე იკაფავს გზას და  
ამაშია მისი ბედი და უბედობაც; თუ ის დიდი  
ნიჭია, მალე ხდება ხალხის, საზოგადოების  
რჩეული; თუ მისი ნიჭი ზერულეა, პირველ  
გამოშუქების შემდეგ თანდათან ილევია და  
ბოლოს სრულდებით იძირება არარაობის, დავი-  
წყების უფსკრულში.

არის პოეტი, რომლის სახეც დიდხანს  
რჩება გამოურკვეველი, ის დიდხანს არის  
დუღილში, გარკვეული პოეტის ჩამოყალი-  
ბების პროცესი მასში დიდხანს გრძელდება.

შეიძლება, ასეთი ხანგრძლივი დუღილი მის-  
თვის უფსკრულად გადიქეს და შიგ ჩაილუ-  
პოს, ხოლო თუ გამარჯვებული გამოვიდა,  
უსათუოდ ღრმა და მრავალფეროვანი იქნება.  
უკანასკნელთა რიგებს ეკუთვნის პოეტი  
ფაშალიშვილი.

აიღეთ გრიშაშვილი. მან მალე ჰპოვა  
თვის ხედვრი, მალე გაიკაფა გზა და წისი  
პოეზია თქვენთვის დღესაცაა ნათელია. გვა-  
რიც რომ არ წაიკითხოთ, ისეც იცნოთ იმის  
ლექსს. მასა აქვს არჩეული ვიწრო ფარგალი,  
ამ ფარგალში ის ძლიერია. როგორც კი გა-  
დასცილდება ამ ფარგალს, ის ნაძალადეგია,  
ულამაზო.

იგივე არ ითქმის ფაშალიშვილზე.  
ფაშალიშვილს ერთი, ორი და რამოდენ-  
ნიმე ლექსით ვერ იცნობთ, რადგანაც მისი  
მუზა მრავალფეროვანია ფაშალიშვილი ჯერ  
თვითონ ვერ იცნობს თავის თავს, ის გარკვე-  
ული, ჩამოყალიბებული პოეტი არ არის.

ვაყას ერთი რომა ვსთქვათ, ფაშალიშვი-  
ლი „ფაქსისს“ აგებს ჟღერს... მისი ბუნება  
ფიქრთა და გრძობათა თაივულია და იმისდა  
მიხედვით, თუ როდის რა სქარბობს, პოეტი  
ხან მოღიბარია და ბრწყინვალე, ხან მოწყე-  
ნილი და ცრემლით მფრქვეველი.

სიოცხლის საიდუმლოებებ, სულის უკე-  
დავება—ი ერთერთი მთავარი საკითხი, რო-  
მელიც ამართულა პოეტის წინაშე და რომ-



ლის გადაქრას მოუთმენელათ ჰლამობს პოეტის სული.

სად მივსულყვართ, სად მივდივართ,

რა დავტოვეთ, წინ რა გვხვდება?—

და ეს ტივი გამოცანა

ჩემში სწინად შეორდება-

გერ ავსსენი დღეყანდღამდე

და კვლავ გამოცანად მრჩება.

ნორჩი პოეტი სდგას უდიდესი საიდუმლოების წინაშე, მისი მოუსვენარი სული ცდილობს ამ საიდუმლოების დახშული კარის შეღებვას, რათა ახსნას აუხსნელი, იხილოს უხილავი.

ძიების ბრძოლის დროს პოეტს ხშირათ ეკვი ეპარება. გაშლილი ფრთები ეკვეცება და სასოწარკვეთილება იპყრობს მას, ის იტანჯება...

იტანჯება,

მაგრამ არა მსურს, ცხოვრების ტლანქს ბედს ქედმოხსნით ვფოხრა სიტყვა მოინას!

დღე, ამგვარი ძიება ტანჯვა იყოს, —

ის მაინც ამ გზას რჩევს და ამ გვიართ საგნებით ღებულობს ცხოვრებას და ტანჯვას, ერთად, რადგანაც.

ყოფნა უტანჯველად სომ იგოფე სიკვდილია, აქ ფაშალიშვილი ჩვენს ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფროა ვაჟას მიმდევარი, ვაჟას მოწაფე.

ჩემს წარმოდგენაში ვაჟა მეტათ დიდი, მეტათ თავისებური პოეტია. გზაში რომ შეხედებოდით ვაჟას, თუ არ იცნობდით, ყურადღებას არ მიაქცევდით: სრულებით უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალო ჩოხაში გახვეული!

როდესაც გაიცნობდით, დარწმუნდებოდით რომ ჩვეულებრივ გარეგნობაში დიდი და უჭრობელი სულიერი ლამპარი ენთო.

სწორათ ამგვარიევა ვაჟას პოეზიაც.

პირველის შეხვედრაზე შეიძლება არც კი მოხვნიოს თქვენზე შთაბეჭდილება მაგრამ როდესაც კარგათ გაიცნობთ, დიდ ფიქრსა და დიდ გრძობას უქვეყლათ ნახავთ შიგ.

გონებას ფიქრთ სტანჯავდეს,

გულს ტაცხლი სწავდეს ძლიერათ

— აი ვაჟა!

და განა ყველა ჩვენი პოეტები არ არიან ასეთები?.

არა—ზოგს ფიქრი ახასიათებს, ზოგს ცეცხლი.

ილია მაგალითად ფიქრია, აკაკი ცეცხლი.

ვაჟაში ორივე ჰარმონიულათ არის შეერთებულთ.

ვაჟასა აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი: «ჩემი ვედრება», სადაც პოეტი ღმერთს შესთხოვს:

ნუ დამსვენებ ნურას დროს,

მამოფე შემწუნებულთ,

მსალათ მაშინ ვარ ბედნიერ,

როცა ვარ შეწუნებულთ!

ტანჯვაში ბედნიერების ძიება, აი თვისება ქართველი ადამიანისა, ქართული სულიისა.

ამ სულის ერთი საუკეთესო გამოჩანატელი ვაჟა და მის გზას მისდევს ფაშალიშვილიც, როდესაც ამბობს:

მაგრამ ყოფნა უტანჯველად სომ

იგოფე სიკვდილია?

ფაშალიშვილის ფიქრსა და გრძობას განუყრელად თან დასდევს ერთგვარი სევდა, ერთგვარი ნალექი და მთელი პოეზია ახალგაზრდა ხელოვანისა სევდიან სიმებზე არის აწყობილი.

ნაღველათ, ჩემო ნაღველათ, სახვე

სიცოცხლის გამობას,

ამსხავი ხარ მუდმივა ჩემის ფიქრის

და გრძობისას.

შენ შემსჯედი უმობის რიყნაყზე და

ამეუ თანამგზავნად,

ტრემლსა და გველის სიბაღეს ფეხქვეშ

მიფენდი სტავრდა!

ჩვენი სამშობლო მზის ქვეყანაა, წარმტაცი ბუნების ქვეყანა. აქ მზის სიცხოველ და ბუნების სილამაზე ადამიანს ათრობს, მაშასადამე ცრემლებს, მწუხარებას ალავი არ უნდა ჰქონდეს, აქ შეუწყვეტილი მზიარული სიმღერა უნდა გაისმოდეს.

ნაცვლად ამისა ჩვენს პოეზიას განსაკუთრებით სჩვევია ცრემლები

ჩვენი პოეზია მშვენიერი ტარიელია, რომელსაც ცრემლი სდის შეუსრობელი.



ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ისტორიული ხვედრია.

შორის უღელქვეში ძნელია სიცილი.

ფაშალიშვილის სევდის ერთი მიზეზიც სწორედ აქ არის:

ერის კვენესა იქცა ჩემის სულის კირად. ფაშალიშვილი ნორჩი მგოსანია.

ყოველ მის მისწრაფებას, ყოველ მის ნაბიჯს სიკბელის ექვები თან დასდევენ:

ვაჟ, თუ ბუნება მოსტუფუღეს ჩემშია და გადმოცემა გურ შეუძლო მისა.

ფაშალიშვილის სევდის მეორე მიზეზი აქ უნდა ვეძიოთ. ეს მიზეზი დროებითაა წარბაველი:

ფაშალიშვილის შემოქმედებაში არის ფილოსოფიური მიდრეკელება; მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს სამყაროს დასაბამი და დასასრული, არსების საიდუმლოება, სიცოცხლის მიზანი.

და გვრავინ გვრ გაიკებს საწყურთაჲს და უოფხის მიხნებს.

ფაშალიშვილს წინდაწინვე შხამავს ის მოფიქრება, რომ ვეც ის გაიკებს საწყურთოს ყოფნის მიზნებს, და იქ არის მესამე მიზეზი ფაშალიშვილის სევდისა.

პოეტის სევდას ყველგან თან დასდევს იმედის სხივი:

ხან შხაზრუღის ოცნებით დაუმღერო, ხან ნადღუჯანხადა, მაგრამ ორსაე დრას ნახნაეში

იმუდესა ვეთსაე უანადა

ერთ თავის ლექსში ფაშალიშვილი თვითონ ახასიათებს თავის შემოქმედებას-

რწმენა, იმედი, ტრფობა და გლოვა ჩემსა გრძობაში გაშოქარავ:

საკმაო ტემპერამენტი, მოუსვენარი ფიქრი, ძიების წყურვილი, მდიდარი გრძობა ყველა თან ახლავს ახალგაზრდა მგოსანს, რომლის მომავალიც წინ არის.

სულ წინ ვასწრაფვი მარადის, რამდენხად შემწვევს ძალა.

ახალგაზრდა მგოსანს ძალია შეწვევს, მაგრამ იმის სევდაში დაკვირვებულ აღმინან ბევრგან ამოიკითხავს დაუწერელ სტყევებს: ფრთებს მაკვეტს, აღმაფრენსა ცნობრებას უოველდღაფრთი.

ფაშალიშვილი ჯერ მეტად ნორჩი მგოსანია ის არ არის ჩამოყალიბებული, ჯერ ისევ დღეულიშია. და აი ამ ხანაში მას სკირდება ძლიერი დახმარება საზოგადოებისგან, რომ ის საკმაო მომხალღებით შეიარაღდეს და შემდეგ ერთიად საღ დაუბრუნოს საზოგადოებას მისგან მიძღენილი.

ფაშალიშვილის უტყუარი ნიქია და თუ ის საფერისად ვერ გაიშალა, საზოგადოების ბრაველი იქნება.

მიეტოთ ნაჰსა გზა ფართო!

ვაკუჩხი

## ქერივის შვილი

მოთხრობა ანდრე ტერივისი.

(ძღუნად კრავალ სერსეუდიის სსაფნას)

ქერივს ეყოლებს გან დაქირავებული სახლი საღურისაკენ მიმავალ ქუჩაზე იყო. ეს ვიწრო და ახალი შენობა იღგა ცალკე, მოსტინების შორის, თლილი ქვისაგან აშენებული და წითელი კრამიტით დახურული.

ქერივი ეყოლებ აქ დასახლდა თიბათეში 1870 წ, ომის გამოცხადების დროს, მას შემდეგ, რაც მის უმცროსი შვილი არისტოდი გაწვეულ ჯართან ერთად ვერდენს გაემგზავრა. ქერივმა ეს ბინა იმიტომ აირჩია, რომ რკინის გზის სადგურთან ყოფილიყო. ამ დედაქალაქს გონა, ანაირად ჩემ შვილთან უფრო ახლო ვაქნებოდა და დაბრუნებისას ჩემს არისტოდს ორი ნაბიჯის გადაღმაც არ დასკირდებო ჩემს სანახავადო.

დღეს არისტოდი ძალიან უყვარდა. მეორე მისი უფროსი შვილი პარიზში სცხოვრობდა, სადაც დღეის დაუკითხავად ჯვარი დაიწვენა, ამის შემდეგ მიწერ-მოწერა დედა-შვილის შორის შესწყდა და ქერივმა უმცროსი შვილი კიდევ უფრო ძალიან შეიყვარა.

საწყალი დედა თავის დასამშვიდებლად დრო-გამოშვებით წერილებს იღებდა თავის შვილისგან. მაგრამ შემერ როცა გერმანელთ ჯარი შემოერტყა იმ მხარეს, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა, წერილი იშვითად მოსდოდა. ქერივმა უკანასკნელი წერილი, მიიღო, მარიამობისთვის 30 დაწერილი. მერე არაფერი. სრული სიჩუმე ჩამოვარდა: არისტოდი მოაკლეს თუ ტყვედ წაიყვანეს სედანის ჩაბარების



დროს, ქვერევა ვერ გაიგო და ნამდვილ ცნობების მოკრებაც თავის შვილის შესახებ ვერ შესძლო. საწყალ სიდას ფიქრიც კი ენდლეზდა და არისტოლის სიკვდილიზე. ეგონა არისტოლი ვერგანის რომელიღაც სიმარტირული მოხერხებულად, საიდანაც წერილის მოწერა ვერ შეეძლო, მაგრამ როცა ეს საშინელი ომი გათავდებდა, როგორ და ამიტომ მუდამ თავის შვილის მოლოდინში იყო.

ზამთრის გრძელ თვეების შემდეგ, გაიგეს პარკის სხვის ხელში გადასვლა და ქვრივის გულში საიდუმლო იმდენი ცემა დაიწყო.

ტყევიები სამშობლოში დაბრუნდნენ, რადენიმი აქაური ახალგაზდაც. უკანასკნელნი, თურმე, გაყვილებულნი, დაღალუნი ძონძეში გახვეულნი სადგურზედ უნახავთ. მაგრამ, მიუხედავად გზაში გამოვლილ წყალგისა, მათი თვალები მზიარულად იყურებოდნენ თავიანთ ძვირფასს მამულის ნახვის გამო.

თაკობე მაშინვე გერმანიიდან ახლად მოსულთბთან მივიღოდა ზოლმე, სუყველს დააქვრდებოდა, ეკითხებოდა ყველას, ვინცოი ქაოქილად მოდიოდა. მაგრამ მისთვის არავის შეეძლო ეთქვა რამე სანუგეშო არისტოლის შესახებ. უკანასკნელი სეღანის ჩაბარების შემდეგ აღარ უნახავთ. ზოგი-კი, ქვრივის დასამშვიდლებად დაუმატებდა ზოლმე: ჯერ საქმე არ არის წაგებული. არისტოლი აღობად პრუსიის რომელსამე ციხეში ზის და იქუარ მოხელეებისგან დაციწვას იტანსო.

თაკობე მამუე გერმანიაში წერილი გაგზავნა და უფრო დაიმედდა. ყოველი სიღამოს თავის ახლ ბინის სასაღილოში ვახამს ახალდებდა, სუფრას შლიდა და არისტოლისათვის ჭველ ღვინოს იზოვიდა ზოლმე: მერე უცდიოდა, ცაქცახებდა ყოველ მატარებლის ხმაზე და გულის ძვირით ყოველ მატარებლის ხმაზე და წინწყლებსა, ფანჯარის შუშებზე რომ წკაპა წუქუი გაჰქონდა.

ერთს წვიმიანს და ძალიან ბნელს ღამეს სტრასბურგიდან უკანასკნელი მატარებელი მოვიდა მესამე კლასის ვაგონიდან დიდის გაქირებით ჯარისკაცი დაღმოდვიდა. ახალგაზდა ჯარისკაცს ძლივს მოჰქონდა ფეხები და, უშეკველია, ძალიან დაღალული იყო. საღვარის მბეჭეტვე ლამფების სინათლეზე მისი გაყვილებული სახე ჩანდა რადგანაც მას დღეს სიარული აღარ შეეძლო, ჰკითხა, სად არის სასტუმროო და ხალხმაც უჩვენა იქვე ახლო მდგომ სახლზე.

სხვა მგზავრებიც გაიფანტნენ წყვილაღში სასტუმროს სშოზრად. იმათი დაიარაგებული ფესები ტაოხასა და ქუქუიანს წყალში აქაპუნებდნენ, გაკირების დროს შეტებოდენ, და ყოველ შეტებამზე გვერდზე ჩაოკიდებულ რკინის ქუჩტელვს აფელარუნებდენ ზოლმე. ახალგაზდა ჯარისკაცმა ბოლოს ღამის წყვილაღში ერთი განმარტოვებული სახლი შენიშნა, რომლის ფანჯარებში ღამეა ბმეუტავდა. ეს სახლი მას სასტუმრო ეგონა. ზღურბლს, როგორც იყო, მიუახლოვდა, სიბნელეში ზარის მავთულის სახელური იპოვა და უცებთ ჩამოსწია. განათებული ფანჯარა გაოლო, დედაკაცის თავი გამოჩნდა და აფელეებულმა ხმამ შეჰყვირა:

— ოჰ, ჩემო ძვირფასო შვილო მოხვედი! მერე დერეფანში აჩქარებული ნაბიჯები გაისმა, ურდული აიწია და განცვიფრებული ჯარისკაცი წარსდგა ერთი დედა-ბერის წინაშე, რომელმაც ღამეა ასწია, ჯარისკაცს გააკირებები შეხედა და ყრულ წაიბუტბუტა:

— დმერთო ჩემო, ეს ის არ არის...  
— მამატით, ქალბატონო, სთქვა ჯარისკაცი, თავის შევლომას რომხხვდა: გხედვე, რომ შევეცი... მითხრეს, სასტუმრო ახლო არისო და კარმა მომატყუა... გხლო კი გავიგე, თქენი სახლი ის არ არის, მე რომ ვეძებდი, მაგრამ ესე ვარ დაღალული, რომ ღამის წაივტყე...

თაკობე ჯერ გაბეცდა, მაგრამ როცა კარგა დააკირდა და გარჩია ჯარისკაცი, რომელიც იმდენივე ხნის იყო რამდენისაც არისტოლი, შეენანა ეს ყმაწვილი კაცი, თვალედაც ტრემლები წაოხსკდა და მიუღო:

— მობძანდით, მე არ ვიკადრებ, რომ ქრისტიანი კაცი ამისთანა აფელარში ვარედ დარჩეს...

— ვინ იცის, იქნება ჩემი საწყალი აავშიც რომელსამე უცნობ ქალაქში დამწწის და თავმესაფარს ეძებეს!—სთქვა ქვერევა, ჯარისკაცი სახლში შეიყვანა, პარკი მოხსნა, ტირილით არისტოლისათვის დამხადებული ვახამში მოუტუნა და ამის შემდეგ გამოუტუნადა ჩემი შვილი ომში გავისტუმრე და დაიკარგო, როცა დაღალულმა ჯარისკაცმა ღამეა გაათავა, ქვერევა შეამჩნია, რომ მის ეძინებოდა,



ამიტომ თავის შვილის სუფთა ოთახში შეიყვანა და იქ დააძინა.

მეორე დღეს დილით, როცა ყმაწვილი კაცი წასასვლელად მოემზადა, ქვრივმა კარგი საუზმე, მოუმზადა და არისტოლის ისტორიას მოუყვა.



(ნახატი ლ. გულიაშვილისა)

— უბედური ბაღლი! — ამოიხენემა მან: როგორ იტანჯება იქ, უცხოეთში! მაგრამ სანამის ამას გიაზობთ, უნდა ვითხრათ, რომ თუმცა დიდი გაკირება გამოვიარეთ, არისტოლის შინც ვანებიერებდი. როცა გავმგზავრა ჩემის ხელით ლურჯი მატყლის ქული მოუქსოვე, ასე რომ კეთა და ყურები სიცხვეში თბილაღ ექნება. საცოდვაფი, ძალინ იტანჯებანევრაღიით. ნეტავ-კი ზამთრის ცივ ლამებში ის ქული დაიხუროს ხოლომე.

ჯარის-კაცი აღარ სჭამდა, ლუკმა ყელზედ აღებოდა.. უცბად მოაგონდა: როცა სედანის მიწდორზედ, მთ გერმანიელები გარს შემოერთყენ და ჰყარაულდბდენ, ამხანავად ჰყავდა ერთი ახალგაზრდა ჯარის კაცი, არისტოლი წოდებული, რომელსაც მართლა ლურჯ მატყლის ქული ეხურა.

ამ უბედურობის დროს ამხანავები სისაცილო ქულის გამო დასცინოდენ მას და „პაწია ლურჯი“ დაარქვეს.

ერთს საღამოს „პაწია ლურჯი“ ალყიდან გაქცევას შეეცადა, მაგრამ ოცი ნაბიჯი ძლივს გადადგა რომ მას ყარაულმა თოფი ესროლა და იქვე მიწდორზე დაწვინა. კება მიწაზედ

გაგორდა, ხოლო სსსაცილო ქულიან კაცს სული აღმოხდა



(ნახატი ლ. გულიაშვილისა)

ჯარის-კაცი ადგა, მაღლობა გადაუხადა დაიძვდა: ნუ გეფიქრება მართალია ჯერ კიდევ დრო გავა, არისტოლი უეჭველად დაბრუნდებაო!

მერე თავისი პარკი აიღო და წავიდა. როცა კარში გვიდა, მაგრა ჩაახველა და ტრემლიანი თვალეში მოიწმინდა. მან კარგად იცოდა, რომ „პაწია ლურჯი“ აღარ დაბრუნდებოდა!

მახტანგ გულიაშვილი.



ის მიდიოდა

ის მიდიოდა, სტოვებდა ოჯახს, მოხუც დედ-მამას, ცრემლის მტრქვეველსა, ის მიდიოდა... სტოვებდა ცოლ-შვილს, ისეც უკლმართ ბედის მწყველსა. სანამ თავს ადგა თვის ღარიბ კერას, დღიური შრომით ლუკმას აწვდიდა, როგორ ეფიქნრა, ისეც ტანჯულ ჭებდს მტრობა და შური არ დააცილიდა! ის მიდიოდა... თუმც განახლების მაინც ბრწყინავდა იმედი მაში, მას სწამდა ბრძოლა სიმართლიანი, სიმართლისათვის თვის ქვეყანაში. და თუ ოცნებას ფრთა შემკვეცა, ღროკებმა დასცა ისარი გულში, მას სწამს აღსდგება სიმართლის ძალა, დღეს შელახულ მტრობას და შურსი.

სიო კალანდაძე

# ენახე.

შავ ძალათა ნატრეფალი.

ენახე ვარლთა ფურცლები, ძირს მიწზე ეყარა; ელდა მეცა, გავშემდი, გულზე შემომეყარა...

სიო ფურცლებს უნდობლად აქ თიქით აბნედა, ვარლთა მიჯნურს ბულბულსა გულზე ეკალს აბნედა,

და სტიროდა მიდამო, ძირს სივოცხლე ჰქრებოდა, შავი ქვეყნის დემონი თავმომწონედ ღებოდა..



პრაპ. პახომ იაგორის ძე ქორქაძე

ენახე შეგბის ქურუმნი ცხარე ცრემლით ღნზოდენ, დაშლილ ვარლთა მზერაზე უწუებოდ ჰკვდებოდენ.

მოკლული იქმნა რუმინიაში გმირულ ბრძოლაში, გიორგიმ 17 (18 წლ ს იანვროდ). წაღვნილია წმ. გიორგის საფიქრო ჯვარსა და ოქროს ხმაღზე ცხედარი გილმოსვენეს და დაკრძალეს ს. ურხუბში (გურიაში) ქრისტეშ. 11.

იპო ჯინორიძე

## აშუღების ნაღლი ანუ მარაქა

ნაღლი აშუღობაში ვეჟაზე სსსარგებლო და სანატრესო იყო ხალხსთვის. სიტუქა ნაღლი ნიშნავს ზღაპარს. ეს ზღაპარი იყო მთლად გაღეჟსილი, სხვა და სხვა ჭანგებით და სმებით შეკასმული პოეტ-აშუღებისაგან. ნაღლი ჭბუნდა სწორეთ მივისს, აშუღები-ნამდვილ არტისტებს, თეატრი კი თბილისის ფქვილის მოედანი ანუ ხოსროვის ქარავლის გვერდზე ცნრთილი ზღვილი იყო კვირაობით აქიზარებოდა წარმოდგენა დილით და სადილ შემდეგ. ვეჟა გულის ფანტაზიით ელოდა კვირაქ დღეს, ვეჟა ცდილობდა, დილით ადრე ამდგარიყო, წასულიყო და კარვა მოხერხებული ადგილი დაეჭირა. იმ აშუღურ ხისებში დრამდ იყო, კომედიან. ვოდევილიცისე. სსსამოფრო და ტუბილი სმაღ-ჭანგებით იყო შემკული, რომ ჭანს არ მოხერხებოდა, თუ კინდ მოელი დღე მშობრ-მწუხრული დაჩნნიდიყო. აქ მსმენელი საზოგადოება გაიგებდა მთელ სადმთო წერილს და სახარების სიტუგებს, კატთამოფარების, სხვადასხვა ერების ერთობას და სიფარულს, დღამისი მონილებას, დგოის შიშსა, აზრებს, კაცის სირცხვილს, დცემულის დახმარებას და სს. \*)

ეს მოძრავი თეატრი სოფელში და სხვა

და სხვა ქალაქებშიც გადაჭქონდათ ხოლმე. აქ ხალხი ხშირად სიაშოვნებდა, სუღით და გუღით სტუბებოდა, და შინ რომ მივიდოდა თვის თვალობასაც უხიზარებდა ნახულსა და გატონილს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაღლი ეოფლად სასარგებლო და ჩინებული რამ იყო, სომეხთა სასულიერო წოდებამ დაიწყო ჩივილი და გადაეკადა აშუღებს: ლოცვაზე უარ მიდიან, წირვის არ ესწრებიან, ხალხს რუგინათ და წითავრობასაც ეშვი შეეზარა და მაშინვე აუკრძალა აშუღებს ის კეთილი სამსახური ხალხისა.

მას შემდეგ გულ-დაჯოლიდა და სიაშოვნებს მოკლებულმა ხალხმა დაიწყო ლოთობა და უომრის თამაშობა კვირა-დღეობით დიდიდან სადამომეღ სმასა და უომრის თამაშობაში ატარებდა დროს, სადამოხე მთვრალი და ჭიბეცნარეული შინ მიდიოდნენ, თავსა იფუჭებდენ, ცოლშვილსაც უმწარებდენ და აუბედურებდენ.

პახორა

\*) ამას დამტიციებს ჩემი ერთი ნაღლიდგან გაბაკეთებული პიესა „აშუღი“, რომელიც გადაღვეტი გრიგოლ კიფშიძის გასაზინჯად, როდესაც მე „ივერიაში“ ვმწარავდი.







# დღეს მე...

დღეს მე რითმებს ვეღარ მოგვკრებ, ვერ ავკინძავ ლექსს საამურს, ვერ მოუხმობ ცის ღიანას, ვერც ვენერას, ვერც ამურს. და ლეთიურსა, საგალობელს ვეღარ იტყვის ჩემი ენა...

კვლავ სჩქეფს სისხლი ნაკადულად, არ შემწყუდარა ცრემლთა დენა!..

ოჰ, დღეს ისევ ომის ღმერთი ზეიმს იხდის, მზიარულობს, ოჰ, დღეს ისევ ცხელი ტყვია დასრიალობს... დაზუზუნობს...

კენისი, გმინავს არე-მარე, თავს ევლება ტანჯვა სოფელს, და მოწყენილს ვხედავ ყველას, მწუხარების ჩაომბოთველს!..

საზეიმო საგალობელს დღეს ვერ იტყვის ჩემი ენა,—

მოსჩქეფს სისხლის ნაკადული, აღარ სწყდება ცრემლთა დენა...

თავზე აწევს ტატოზს ნისლი, ცეცხლის კვაზლი სივრცეს ჰფარავს,

და სივდილი ცელ-ვაწვდილი ჰკლავს სიცოცხლეს, კოფნასა ზარავს!..

## ბ. პელაშვილი

# თეატრი

დღევანდელ ათას უბედურებასთან ერთად თეატრის დაკნინებაც ზედ დაგვეერთო: არა გვყავს სათეატრო დარბაზი, აღარა გვახვს ძაღლები და თუ არიან—მათი ღირსება უთეატროდ უმნიშვნელია. თუმცა დრამატული დასი მამართავს წარმოდგენებს ახალი „კლუბის სცენაზე“, სახალხო სახლში, მაგრამ ყოველთვის მოუშხადება და მუყათობა აკლია. მიზეზი?—უბინაობა და სხვა.

ერთი დღი უბედურებაც ის არის, რომ სათეატრალურია საქმე, როგორც პრესა, ვერცდ წოდებულ „პარტიებამ“ დაიყო. მავალითად, სახალხო სახლთან არსებულმა წარმოდგენების მმართველმა წარს გამგეობამ, თავისი პროგრამიდან გამორიცხა ისტორიული პიესები და შეიმუშავა ისეთი პატარა რეპერტუარი, რომელშიაც ერთი და იგივე პიესის გამეორება თვეში ორჯერ-სამჯერ უხდება. დამსწრე ხალხი კმაყოფილია ამით თუ არა, ამას ვერ ვიტყვი, მხოლოდ თვით სცენის მოყვარებშიც რომ უკმაყოფილებს იწვევს, ეს კი ცხადია. ეს თეატრალური ნაკლია გამგეობისა, მეტადრე ეხლა, როდესაც დრამატული დასი უთეატრობით უმოქმედო ასპარეზზე გაცივებული. სამწუხაროა აგრეთვე ქ. ანკარასი, ბ. მეტრეველის და მოკარნახე თუმშელაშვილის სცენიდან ჩამოშორება, რომელთა როლის აღმსრულებელი ჯერ არავინა ჰყავთ. ვინ უნდა დაავიჯვინოს „ქარსტინეს“ როლი, თუ არა ქ. ანკარამ? ვინ უნდა გვაჩვენოს სცენაზე ნიკი ახალგაზრდათა სიმპატიურ როლებში თუ

არა მ. მეტრეველმა, მაგრამ გამგეობამ ყველაფერ ამას ანგარიში არ გაუწია და ცოტად თუ ბევრად ძველი სირობების გაუმჯობესებას მაგიერ მათგან პიერ სცენის დატოვება ირჩია.

ყურადღება არა აქვს მიქცეული სახალხო წარმოდგენებზე „უბატენტო“ მოგაქრეთაც, რომელნიც ორ-სამ შაურობს ბილეთებში მინთისა და ორ მინეთს ახდევინებენ. სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ამას და ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს.

ბოლოს სცენის მოყვართა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ მათი ამპარტაუნობა, შური და მტრობა წინაღმდეგია წმინდა სახალხო ხელოვნებისა.

ძირს „პარტიობა“—გზა მიეცით თავისი უფალ სელოვნებს. თიანელი



კალისტრატე ჩიქოვანი

სად. ნოვაციის უფროსი. უსამართლობის მსხვერპლი შეიქმნა და თავი ჩამოიხრჩო. ხალხში მწიგნობრობის გამარცხლებელი იყო.



# მოსემწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადაშკეუებული გრ. საქარქედელის მიერ  
გაგრძელება, იბ. 1917 წ. თ. და ც. მ)

## VI

იგინაიფე, ორი გლეხი

**მწერ.** თქვენ ვინ დაგზიბართ.

**1 გლეხი** ჩვენ ხალხმა ამოგვიჩინა, ბატონთან გვაქვს მოსახსენებელი სიტყვა.

**გამომძ.** ჩემთან?

**გლეხი** დიხა თქვენთან.

**გამომძ.** აბა, რა გნებავთ, სთქვით.

**1 გლეხი** ჩვენი ბატონო ხალხმა გამოგვაგზავნა მწერლის საჩივლელად.

**გამომძ.** ეგ ჩემი საქმე არ არის გადით.

**2 გლეხი** როგორ არ არის, ბატონო, თქვენი საქმე, თქვენ უნდა გამოიძიოთ.

**გამომძ.** (შეჟუარებას) გადით, სანამ გავამთარხებდეთ. (გლეხები გადაიან) (შეჟრადს) დაუძახეთ შემოვიდენ.

**მწერ.** (მივა კარგბთან) მამასახლისო, შემოიყვანე უნათლოშვილები. მღვდელსა სთხოვე მობძანდეს.

## VII

იგინაიფე მღვდელი მამასახლისი, ბაბაღე, სოფონა ოქრუა.

**შეოძის** მღვდელი, კეთილსინდისიერი, მამასახლისი, ბაბაღე, სოფონა და ოქრუა, მოწიწებით უქრავენ თავს გამოძიებებს, გამოძიებელი წამოღება და მღვდელს ხელს ჩამოართმევს მღვდელი ღაჟღება სხვები ფეხზე დგანან)

**გამომძ.** Вятюшка, საქმე ძალიან სერიოზულია.

**ათან.** რა საქმე ბატონო, არაფერი არ ვიცი.

**გამომძ.** თქვენ გდებენ ბრალს ორი ყალბი მოწმობის გაცეობაში. პირველი: თქვენ მიგიციათ მოწმობა ოქრუა უნათლოშვილისათვის, რომ ქვრივ ბაბაღეს ოქრუას გარდა შეილი სხვა არა ყავს. ამ მოწმობით ვაუნთავისუფლებიათ ოქრუა უნათლოშვილი სალდათობიდან. ეხლა მისულა ხმა მთავრობამდინ, რომ ეს მოწმობები ყალბია უნათლოშვილის ქვრივის ჰყავს ორი შვილი სოფონა და ოქრუა თქვენ კი მოწმობა მიგიციათ

**ათან.** (გაბეგბათ) მე... მე მიმიცია ყალბი მოწმობა... არა, ტყუილია...

**გამომძ.** (აზუნებს ქაღალდს) აი მამაო, ეს ხომ თქვენი ეკლესიის ბეჭედი. ესეც ხომ თქვენი ხელმოწერილია.

**მღვდ.** (შეჟრადს შეჟრადს გაბეგბათ) ეს ხომ ის ქაღალდებია, რომელზედაც მე დამასმევეით და ხელი მომამწერიეთ. ამ ქაღალდებში, უნდა ეწეროს ბატონო, რომ ბაბაღე უნათლოშვილის ქვრივი, ღარიბია... (შეჟრადს) თქვენ ასე წამიკითხეთ და უნათლოშვილები რომ ღარიბებია, ამას მთელი სოფელი დამოწმებს. (გამომძებელი შეჟრადს შეჟრადს).

**მწერ.** როგორ, მე წაგიკითხეთ.. მე დაგასმენიეთ ბეჭედი. მამაო, როგორ გეკადრებათ მღვდელს, ნაკურთხ კაცს ასეთი ცილის წაშება.

**ათან.** (შეჟრადს) ო-ო, მოლაღატე, მოხუცებული კაცი, დამლუბეს?

**მწერ.** (გაბეგბათ) მამაო, რას ბრძებთ? (აღებს ქაღალდს და აძღვეს გამოძიებებს) აი ინებეთ მოწმობა, იმ დღეს, რა დღესაც ეგ ყალბი მოწმობები შეუღდენიათ, იმ დღეს მე მახრის მსახიბროლოში ვიყავი. აი მახრის უმფროსის ხელ მოწერილი მოწმობა.

**გამომძ.** (მოწმობას უყურებს) ეხლა რას იტყვით მამაო? რათ სდებთ ღუქულია ბრალს მწერალს?

**მღვდ.** (შეწუხებული) არა მე და ჩემმა ღმერთმა, მე არ მიმეცეს ეს, მოწმობა და არც რამე ვიცოდე ამის... გუფიცებით ღმერთს სარწმუნოებას, ჯვარს, სახარებას... მწერალმა სომატყუა, სიყალბე ჩამიდენია... მე ერთი უსწავლელი მღვდელი ვარ... დამიბარა უნათლოშვილის ოჯახში... სიღარიბის მოწმობაო, მეც დაუჯერე... დამნაშავე არა ვარ.

**გამომძ.** ფიცი მწამს—ბოლო მაკვირ



ვება. ხომ იცით მამო ანლაზა. (მღვდელთა შუქსუბული და ეგება სკამზე)

**მღვდ.** ღმერთო, თურმე ყველაფერი მოხერხდება ქვეყანაზე.

**გამომძ.** ქერივი ბანაღ უნათლოშვილის (წარსდგება გამომძებლის წინ ბაბაღე).

**გამომძ.** სოფონა გერია შენი?

**ბაბ.** (განხრდება იბნევა) სოფონა... გერია ..

**გამომძ.** სოფონა გერია თუ შეილი?

**ბაბ.** სულს ვერ წავიწყებდ, სოფონა გერი კი არა ჩემი უფროსი ვაჟიშვილია.

**გამომძ.** თუ კი შეილია და არა გერი, მაშ როგორღა განაცხადე თხოვნაში გერიოო. როგორ წარადგინე მოწმობა ამის დასამტკიცებლად?

**ბაბ.** (ტირფით) ერთი საცოდავი ქერივი ვარ. საცოდავმა გაქირვებით შეიღებე გამოვზარდე. მეტი რა დამიშავებია.. რას მგრიჩან ღმერთო... ხელმწიფეს ყველაზე უწინ მე ვაძლევ ხარჯს.. ბატონო შემობრალეთ, ნუ დამიღუპავთ ოქრუას.

**გამომძ.** კარგი, გაუშვით... იქით .. (გამოაიხსვას). სოფონა და ოქრუა უნათლოშვილები, (სოფონა და ოქრუა წარსდგებიან). თქვენ რაღას იტყვიან? მოწმობა ვინ მოგვცათ, მღვდელმა?

**სოფ.** (გუჟანათ) ხო, ათანასემ მოგვცა.. მწერალი... მწერალი იქ არ ბრძანდებოდა.

**ათან.** (აღვიძიდან). შეგინდოს შეილო ღმერთმა.

**ოქრუა** (ხმა მალა გუფ-მოსული) ბატონო, ტუელია... სულ, სულ მოსე მწერალის ბრალია... იმან დაგვლუპა ჩვენც, მამა ათანასეც... იმან მოიტყუა. ჰიან გავგავიდინა უღელი ხარი. შეაქდინა სინდისიერი მოწამე და ყველაყი. მაგან (მისჩერება შუკაჯს) მაგ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, ჩეიქია ჩვენი სისხლი.

**გამომძ.** ბევრს ნუ ყვირი, აქ მინდორი არ არის, თორემ ეხლავ გავამათრახებინებ შენ თავს სტრაჟნიკებს. წადით. (ოქრუა და გუფაღზე მადგება. წამადგება მამასხდისი და კეთილსინდისიერა) თქვენ რის იტყვიან? რამდენი რჯიბეთ ფული.

**მამასხ.** არა, ბატონო ჩვენ არაფერი არ

გვიჯიბნია: მოწმობები თითონ ათანასე მღვდელმა შეადგინა სიტყვიერით და მერე სოფონას დაწერია, მოსე მწერალი სულაც არ ყოფილა ამ დროს ჩვენთან და არც რამე გუგია ამ საქმისა: ჩვენ მღვდლის ბეჭედი რომ დევინახეთ მოწმობებზე, სვენი ბეჭედიც იმიტომ დაუსეთო.

**გამომძ** (მღვდელს) მამასხლისიც ამის ამბობს მამაო რათ სდებთ ბრალს უდანაშაულო აღამიანზე? (ხელს აშუგრს მწერლისკენ)

**ათან.** (აღვიძიდან) თქვენ როგორც გინდათ ისე იფიქრეთ. (მალა აჩქადავს) ღმერთმა იცოდეს.. ის უფრო კარგად გამოიძიებს ამ საქმეს... იმ სოფელს გაიჩრვა მაგ საქმე.. იქ გაირჩევა მღყუნ მართალი. ამ ქვეყნად ყველაფერი ტუელია... (ნიშანი).

**გამომძ** (დიხანს სწერს. შემდეგ მუჟრუნდება ბრადგებულთ) შეგიძლიათ იშოვნოთ ორას-ორასი თუნინი თაღლები?

**ათან** არა, მე არ შემიძლია,

**ბაბა.** ორასი თუმინი ვინ მომცა გაქირბ ვებულ ქერებს.

**გამომძ.** რადგანაც თაღებს ვერ იშოვით დაღსევე უნდა გავზავნოთ ციხეში.

**ათან.** გავგზავნიე.. იქ წმინცი გამართლებით სიმაბოლღე არ ოაკარგება... ღმერთი ოწმალაე.

**გამომძ.** Моисей Ивановичъ, позавите стражниковъ! (შემოდან ჩაფრება და გაუთო მღვდელი, ბაბაღე, სოფონა, ოქრუა, მამასხდისი და კეთილსინდისიერა)

**გამომძ.** (ქაღაღებს ახაგებს) გგონი ყველაფერი დაწერე. ეხლა კი დროა წასვლისა. მშვიდობით, მოიხი ევანიზ. (მწერალი კარგ-ბამაღინ მადგადებს).

**მწერ.** (მარტა) მადლობა ღმერთს. საქმე კარგად დაბოლოვდა... ვინ რას დამაკლებს... თუშეცა... საწყალი ათანასე. ღმერთის იმედი აქვს... ის კი არ იცის, რომ ციხიბის გააცილებენ... მე მოსე ვარ, მოსე მწერალი ყველა საქმე ღგან ადვილად დავინსნი თავს. რას მიქვიან სინდისი, ხნობა, პატროსნება (ამოიღებს პატრმანს), უბრანდელ დროში ყველაფერი ეს არის, აი..

**ფ ა რ დ ა .**

**გ რ .** საქარჩქედელი (დასასრული იქნება)



# სოფლის გარამი

ფაფაზიანის „კლდე“ ქართულ სცენაზე სახალხო სახლში ქართ. სახ. წარმოდ. მმართვე. წრემ კვირას (8/1) ფაფაზიანის 4 მიქ. დრამა (თარგმ. ე. კანისა) „კლდე“ წარმოადგინა. ამ მიქ-საში აქტორი გვისახავს სიმშობას სოფელს რომლის ერთი მცხოვრებელი მდიდარი მამამთავრისაა. მიქტი გრიჭო-ადა ვარსკვლავი და დრო მცხოვრებთ სისხლის მწონებლად მოფლენილია: გლეხებს ძა-ღვეს დიდ სარგებლიან სესხს, გაჭირვების მო-რგვეში ჩაყოფილთ სარგებლზე სარგებლს ერთი ათად უმატებს, მათგან ქრთამსა და სწუჭარებს თხო-ულობის და უოველივეს ისე მილიქნულურად, კაი ძეგრულად ახერხებს, რომ გლეხებს აჭარბებს, თქვე-ნი ერთგული, მშველელი და პატრონი ვარსკ. მ საქმეში მის დახმარებ და ხელის შეწყობა-ბიდა ჭეკავს: სოფლის აბლაკატი ქანად მარტი-როსა, მომრავლებელი მისამართელ მათე აბლა-როს და სხ. ამ დროს სოფელში ჩამოადის ახლად კურს-დამთავრებული, იმავე სოფლის მცხოვრების სახე მანუკიანის შვილი, ალექსანდრე, რომელსაც იურიდიული განათლება მიუღია, ერთგული გრძობ-ბით გატაცებული და უმარტოესი საქმე სოფელ-ში მოქმედება, ღარიბი ხალხის შველა მიუზრ-ვია—და რჩება კიდევ ხალხის მიფარველად: ბლე-ხები მისთან დიდის აღტაცებით დახმარების სა-თხოვნელად მოდიან, ისიც შეგობრულად ეგებება და იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა გლეხ-ების მიუფარველად გრიჭო-ადა აღმოჩნდება, მიუ-დედავით იმისა, რომ ალექსანდრეს მისი ქალი თერეზა უფროსი, მის წინააღმდეგ ბრძოლის გან-დასწყვეტს. გრიჭო-ადას უოველივეს სიბოროტეს ალექსანდრე თერეზასაც უამბობს, მასში ღარიბ-თაღმი კეთილშობილეთაობის გრძობას აღძრავს, მაგრამ ქალი იმდენად სურტი ნნდება, რომ დიდი სულაური განცდის შექმნე პატრიარქის მისინგ ბოროტი მამისაგანა ჭხრის და ალექსანდრეს ამ გვარი ბრძოლის ველოს დაგლავს სთხოვს. მაგრამ ალექსანდრე კლდედ იხსნება: იგი ჭკურ აბრევე თვით გრიჭო-ადას შესთავრ სალანდელს სახელს უწო-დებს და თავის მიზანს მტკინდელ იტავს. ამავე დროს მისი ოჯახი ტრადიციის ფარგლებში ექცევა: თურმე ალექსანდრეს აღსაზრდელად ალექსანდრეს მამას ვალები თვით გრიჭო-ადასგან აუღია და

ყველა მიუღიო მისთან დაუფარველობა. აი სიმშობ-სა, რომელშიც მთელი ოჯახი ჩავარდნილია, რად-გან ალექსანდრეს ბრძოლის გამო მას უოველივე სულიდან გამოეცლება. ალექსანდრე მანინ არ დრეკ-ბა: თერეზას ცოლობის უარს ეუბნება, თავის ახ-რების განფართოვებლად სოფლის მამისახლის, გულ-კეთილ არშუას იხმარებს და ადგენს საზრო-ტესტო წერად. ერთსა და იმავე დროს გლეხ-ების საქმე სასამართლოში გადაქვს და ბედაიერე-ბას უქადის. მაგრამ გრიჭო-ადაც სურტი უბრძო-ლი ნნდება. ცალმხრე სხვა და სხვაგანაგებობთ, მოტ-რელებით, ვექსილის დახვეთ გლეხებს აკამო-ფილებს,—მოურ მხრე-გი ალექსანდრეს მთავრო-ბასთან რევილიაციონერად დასმის. და იმ დროს, როდესაც მოტრეებელი გლეხები ალექსანდრეს უცხ-დებენ შინა დახმარება, აღარ გვიანა, გრიჭო-ადასთან უოველივეს ანკარაში გაგასწორებ, რა-დესაც ალექსანდრე ამით უხერხულ მდგომარეობა-ში, ჩავარდება და გლეხების დაუფარველობას და-რზე მოჭეკავს, თათსში განწდება პოლიცია, რა-მელიც ბრძანების მიხედვით ალექსანდრეს ამა-ტომრებს. ალექსანდრე შიშს არ ეძლევა. მამასა-ხლის მანინ საზროტესტო წერადს გადაცემს და დამტრელებს ემორჩილება.

ამით ათვლება ბეისა, რომლის თქმს, რა-გორც ჭხედავთ, საინტერესოა. აქ ჭხედავთ დღე-ფანდელი სოფლის გაჭირვებას, ჭხედავთ უკონო გლეხებს, მათ მიუფარველებს და ჭხედავთ, რა-მელიც მთელი თავისი ძაღლით, ერთგული იდეალების, დახარულებისა და უბედურების პატრო-ნი:

ვერვიტევი, ბაუსა უნაკლოა, რადგან, ზოო-გერთი მდარე ნაკლებულეობათა კარდა, თვით დასკ-ვანა უფრულად მიგვიჩნია. ჩვენის აზრით აქტორი და ბაუსა უფრო მეტს მოიკებდა თუ გამარჯვებუ-ლი ალექსანდრე და მისი სიმშობური იდეები გამოვიდოდნენ. ვინ არ იცის, რომ უოველივეს ბოროტება დღეს ნელა ნელა იფხრება და და-დეება ის დრო, როდესაც გრიჭო-ადასთან სახიზ-დობით იყოს. სახესობით დაჭკარვენი, მოსაზრობან

ასრულების მხრე სტენის მოფარველებს შესა-ფერისად ვერ შესარულეს. ეახლად მიგვიჩნია აღმასრულებელთა უმრავლესობის კიდო, ზოგის ქართული-ტრეტიერი, ზოგისა მისხური. თარგმ-ია, მამასადავე უნდა ელანკრანთა ისევე სალანდ,



სწორედ, როგორც სხვა ენიღვან თარგმნილობდა, ნ. ახალიშვილი და სოფ. მკალაბლიშვილი. სექციამ ამ სეზონში დიდი უნარდღება მიაქცია საკონცერტო განყოფილებასაც. გამართა სულ 5 კონცერტი. კონცერტებში მონაწილეობდნენ: ქართველიშვილი, ამირაჯია, გაბუნია ცაგარელისა, ხაშიძე, ორბელიანი, კარგატელი, ოსიკო ბარათაშვილი, ალმაძე, მესხი ვანანძე, მკალაბლიშვილი, ურუშიძე, დათაშვილი და ფაღალაშვილის სწრაფი. სუფილიორად იყო სამ. ტორთაშვილი, ეჭველებოდა მ. თუშელაშვილი; სცენაროუსად სანდრო ფაღალაშვილი. დაესწრო 7,470 ქალი და კაცი. ბილეთების ფასით და კერძო შემოწირულებით სულ შემოვიდა 522 მ. 40 კ. ხარჯი—642 მ. და 78 კ. ხარჯი 120 მ. და 38 კ. რომლის ერთი ნაწილი გასტუმრის კენთ ქობულაშვილმა, მეორე—ქართველმა დრამატულმა საზოგადოებამ. გ. ჯაბაური

### სასალსო თებტ-რის ისტორია

1900 წ. ენკენსთვიდნ მისამდის სექციის წევრებად თთვლებდნენ: მ. ი. დემურა, გ. მ. ლასხიშვილი, იოს. ქუთათელაძე, ივ. რატაშვილი, კ. ნ. შათირაშვილი, ანანიაშვილი, და ორ. სოსიტაშვილი-ეგლოშვილი. ამ სეზონში გამართა 28 წარმოდგენა. ამ წარმოდგენებში ახალი ზიეს იყო 9, დანარჩენი ნათამაშევი, აქვედა რბეშეების დამრეველ სსოთკადრებისა თხოფთნ 2 წარმოდგენა გამართა აფლანარში.

ამ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქინი: გამრეშილიძე, აფსახიშვილი, თამარა ქუჩუკაშვილი ვარშაიძე, გუგულივი, ჭავჭავაძე, ცინციშვილი, შიდაფანი, სფაროყ ხაშიძისა ელ. წერქუაშვილი სოფით დომარსისა, კუნდელის ასული, სერსულიძე, ტატიშვილი, ანდრონიკაშვილი, ხაშიძე, ნებორიძე, მიქელაძე, კაციაძე და ჩავჭავაძე. ბანი ანანიაშვილი, კელიკურაშვილი, ვ. ურუშიძე, ზავლიაშვილი, ორ. უფლოშვილი, ციმაკურიძე, კახური, დ ნახტორაშვილი, შიშა შველიძე, ნ. გობორიძე, გ. ჭაბაური, ა. ფაღალაშვილი სწინდეელ მისხიობა) ჭუღელი, შირანაფი, ო. ბერაძე, სვიმიანიძე, ხოსროვი, ოსიკო ბარათაშვილი, ხერხეულიძე, ჭაბადარი, მკალაბლიშვილი, ხვალანია, ჭიდაური, ივ. ლურჯაშვილი, მ. თუშელაშვილი, დ. გუგარელი, ვანანძე, იმედაშვილი, გულასხიშვილი, სუსხიშვილი და სხ. ამ წარმოდგენებში რეჟისორობდნენ: კ. შათირაშვი-

### მიწოდლი ნადველა!..

ქრისტე შობა—წვიდა, ეს ახალი წლის დღეც—მოდის, დამდება, მაგრამ გულს მიინც სველის ლოდი აწვეს და არსით სიამის შუქს არ უშვებს!..

კვლავ (წინად) თუ ეს შობა-ახალ წელწადი ცოტათი მიინც ჩამოაშუქებდა ხოლმე ტანჯულ გულში, დღეს ველარ ახწვეს, სრულიად დამორდა, უფსკრულში ვგრძნობ თავს და საცალა ზედამირზე სველის დრუბელში გახვეულს შობა-ახალ წელიწადს.

ცხოვრება აზვირთებულა, მიამტრევეს არე-მარცხ და ვის სად უქადის გარყევას—ყოფნა არ ყოფნის ბედის გაღაწვევტას—ეს არავინ უწყის!..

თითქო მფროთონავ ზღვაში გემზედა ვგრძნობ თავს, ავი ხელით დანგრეულზე, და თანდათან უფსკრულისკენ მიმაქანებს!..

შიგ თვით ვაქცევთ ავი ხელით საერობო ცხოვრების გემს; გარედან-კი მელვალური თავს აკლავენ, ხსნას ლამობენ.

დღეს სოფელი ისეა არეულ-დარეული, თხლე გადმობრუნებული და ფიტ-გამოლღუელი, რომ ძალღიშპატრონს ველარა სცნობს და ჰგლეჯენ ერთმანეთს.

შველა-თანაგრძნობის მიგერა, პირიქით,



ხელს უყარავთ ჩვენს „მცირე რიცხოვან მუსიკალურებს (გმირ-მუსიკალურებს), ვანგრევთ და ვსაბობთ ერთმანეთს ავი ხელითა და ცარცვა-გლეჯით; ამით ვაზიანებთ, ვანგრევთ საერობო ცხოვრების გემს და მივიანებთ უფსკრულისკენ, — აი ეს უხუთავს აღმაინს სულს.



აი ამ მრუდი გზით დღეს სოფლად ბევრი ვირია ბარდნით დოვლათ აკიდებული, ცხვირ-პირ მოთხუპნილი პოლიციელი და „მოსე მწერლები“, მაგრამ როდი გრძნობენ, რომ საერთოდ-კი გვეღუებება უფსკრულსკენ საერობო გემი, საერთოდ ჩავსდევთ თან და ვინთქებით, ხოლო თუ ეს ვინმემ გაუქვივინაო, ვინ იცის, რომელ ვემასში მონათლონ და ც-მიბის ამოუყოფენ თავი!..

დღეს მოგზაური ხშირად ნახავს, რომ „დათვი ბოსტანს ყარაულობს“. გამარჯვლდენ სოფელში „მოსე მწერლები“, და „ნინო შვილია კი არსადა!

გაპარტახდა სოფელი და სისხლით დაცლილს გლოვის ძაძ-ს ქვეშ ეხუთება სული.

დღეს სოფელი სეტყვისგან გავერ ნებულ-ჩარჩვილსა და დათვისაგან ჩაბეჭვილ ბოსტანსა ჰგავს!

ვინ მოსთელის დაწერილებით მის კირსა და ვარაშს!

დღეს სოფელი უწყალოდ გადაჩვილ ტყესა და ორბის ნაბუღარზე ყვავ ყორნის ჩარფუნანსა ეგავს!

იფიტება გმირთა სივანე, იცრემლება ამირანი!.. \*)

**პატრიოტად გლეხი დ. ხოლოლაშვილი.**

\*) აქვე ვთავსებთ ამავე გლეხის კერძო წერილს, რომელიც ნათლად გვისურათებს დღევანდელი გლეხის სულიერ განწყობილებას: „ამათ (—!) გიგზავნი ამ წერილს დასაბეჭდათ, არ კი გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს, რადგან წერილიდან უკვე შემაჩნევთ, რომ ჩემში სულ დაუკარგავს ადგილი შობა ახალწელიწადს: ვხედავ სიტყვა და საქმე არა, ახალი სრულიადც არა მ-მთავს-რა ცხოვრებაში, უფრო და უფრო ძველ ბაძნულადებში გვხვებს და კეთილს არას მოგვიტანს ხოლმე. ჩვენთვის ვერა ვგრძნობ ქრისტეშობას და ახალ წელს. ექნება ჩვენთვისაც გათენდეს, მაგრამ ჩვენ-კი ვერ შევხვდებით, და ნეტავი სამარგში მიიქნ ჩამოგვანახონ.“ შიტო.“

**ხალხურის დრამატული წრის წლიური**

კრება შესდგა იანვრის 8 ერთმა ჯგუფმა გამგეობას უსაუვედურა. კრების ტვიან მოწვევა და სხობნად არა სასურველი—მოკვედებული მიკრების დადგმა. დაიწყო შესდგა—შეშინდა. ერთმა ჯგუფმა დასტოვა კრების დაბრუნა. გარდა ამის თბილისის ერთ გ-ხუთში წრის მიმართ სსსაუვედურა მოწოდებ-კი იყო შთავსებული. უთანხმობის მოსახლობად მეორე კრება შესდგა თხსულ კვირას, იანვ. 15 ამ კრებაზე წრის თავმჯდომარე კ. ი. ძეგლამე მოსაუვედურებს საბუთიანი პასუხი გასცა, რითაც კრების დიდი უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა. კამათი გამოწვია გამგეობის წევრთა არჩევნებზე. ერთი მიუორეს შეუქანს ორი მიმდინარეობა: ორივეს თავთავისი კანდიდატება სურდა: კუყუნა. ასეთი დედადგარების გამო სტენის მოუფარეთა წარმომადგენლებმა ბ. ნიკო სისხრულიძემ და მოსე კვლამე შედგა სსსტავი წინამდებებთა განაცხადეს: თუკრთი საკულტურთა და საყოველთაო საქმე, მარტათა გარეშე, აქ საჭირია შეთანხმებული მუშაობა და არა განხუთიება—დაზნაწილება. ხალხ თუ ჩვენს—სტენის მოუფარეთა—არს არ შეიწინარებთ შეთანხმებული მუშაობის შესახებ წრის ჩამოშორდებითა. ამ განცხადებამ გულგან აქონა, რის გამოც კრებამ შეწყვიტა გაშუქება ამორჩინა: ორივე ჯგუფის მსრობსამ-სამი კაცი, ხალხ გაამგეობის თავმჯდომარედ ორივე ჯგუფმა იხე კ. ი. ძეგლამე (რომელიც ეს შეთხსულ არის არჩეული და მუდამ შეუათად მუშაობის ადგილობრვად დრამ საქმის საკეთილდღეობთ) გამგეობის წევრნი: ნიკო კლდიალი იაკ. ტყეშელაძე, ბ-ნი გუგუა ნიკ. იანაიშვილი, თეიმ. ჭუმბურიძე და გერ. საბეიძევილი. ამათი კანდიდატებად: თ. შეტრეგელი, ალ. ორჯონიკიძე, ბ. უაჭეიშვილი და ბ-ნი მელქაძე სარევირო კომისია: ვლ. ჩაქვანი, კარ, ნინიძე და ბ-ნი უნხაველი.

ფრად ხსინამოყენა ასე ურთი-ერთის შეწყინება და შეთანხმებული გამგეობის არჩევა. ვესურვებთ სრულს წარსტახას. შორეული



# წერილი აგებენ

➤ **ახალი პიესები დასწერას** 1) ჯაფარ რაბეელმა „მალღონი საქართველო“, 4 მოქ. ისტორიული შინაარსისა, პიესაში, სხვათაშორის, გამოყვანილია ქართლის დიდღედალი დარეჯანი. ვახანგი—ქართლის ტახტის მემკვიდრე და სხ. პიესა ადვილიად დასადგმელია. 2) არფანკულიაიმ—ქართული სისხლი, ისტ. პიესა 1 მოქ. ავტორის ამ პიესის სიუჟეტი აულია ბ-ნ დ. ტიბარშივილის ისტორ. გეტიუდან—„ორი ძმა“. პიესაში არც ერთი ჭალი არ არის გამოყვანილი და განსაკუთრებით სამოწაფეო წარმოდგენებისთვისა გამოსადგვი, 3) სტუდ. გედი არსენაშვილმა „ბოროტი სრ-ლი“ 3) მოქ. თანამედროვე სოფლის ცხოვრებიდან. გვიწერებთ გლფთა დუბორ ცხოვრებას. 4) მივიღეთ აგრეთვე ილ. მოსაშვილის „სიცილილის ღმერთი“, დრამატული პოემა-ზღაპარი 4 მოქ. სიმბოლიური. შინაარსისა, ახალ ყადაგზე დაწერილი, შერეული ლექსით.

➤ **იასე რახველმა დასწერა** ისტორიული პოემა „მეფის ასული ანუ ზრესილის ომი“. პოემის შინაარსი აღებულია იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ცხოვრებიდან, ხალხის დამოუკიდებელ დამყარებელი, მოკლე ხანში დაგვიტევთ.

➤ **ღმის „ახ. კლ“** ქართ. დრამ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“. დასაწეის შუადღისა—12 ს.

➤ **ლორდ ბაირონის** საუკეთესო დრამატული პოემა „მანფრედ“, ინგლისურით სთაგუნა ჩვენმა თანამშრომელმა ივერიო მ.მ.მ. ამ თარგმანის I-ლი მოქ. უკვე მივიღეთ. პოემის მეტდვას მოკლე ხანში შევუდგებით ჩვენს ჟურნალში,

➤ **შოთა რუსთველის** გარდაცვალების დროს შესაბამისად დაუღალავს მშრომელს, ისტორ. მ. ჯანაშვილს ძველ საეკლესიო ხელნაწერ წიგნში ნამკვილი ცნობა ამოუკითხავს ჩვენი დიდებული მგონი გარდაცვლილი 1216 წ. იერუსალიმს. ეს ხელნაწერი მ. ჯანაშვილისთვის გარდაუტყია კახელ მღვდელს მ. დიმიტრი დევანოზიშვილს, ხოლო მ. ჯანაშვილს საეკლესიო მუზეუმში დაუცავს, ახლა მაინც დასცხრებთან ურწმუნო თომანი, ვითომც შოთა თაბარის ხანს არ ვკუთვნიდეს,

➤ **თბილისში გამომიდა** კვირეული ჟურნალი „პირველი ნაბოჯი“, მარქსისტული გამართლებების როგორც ეტყობა ეს გამოცემა ჩვენებურ დასელთა ერთი უკმაყოფილო ჯგუფის უნდა იყოს. ჟურნალს, სხვათა შორის, განუზრახავ ფრაქციონულ განხეთქილებების მიზნება გაოკვევა და ყველა მიმდინარეობათა შეთანხმება.

➤ **პეტროპოლის ძაბრეველთა** მრველი დაფუძნებულია და ანდრე ს ტაბაში წირვა ლოცვაც ზად უხდია ქართულ ენაზე უწირავს მღ. ჩიჯავაძეს, უგალობნა ქართულ სტუდენტთა გუნდს. დასწერები. დგალობრივი ქართველობა, რომლის დებუტაციასაც

პიტირიმ მიტროპოლიტსთვის მადლობა გადაუხდია

➤ **პირიონ მუხომკოვს** ნება არ მისცეს სამშობლოში (აბრუნების).

➤ **ანტონ მისოპოლი** მიწივეს სინოდის კომისიაში, რომელმაც უნდა გამოსძენოს სამღვდლოების უზრუნველ-საყოფელი სახსარი.

➤ **ა. მ. ხოზობაძის**, ბაქოს დრამ. წრის გამგეობის თავმჯდომარეს, ცნობილ მრეწველსა და ქველმოქმედს, რომელიც სპარსეთში დიდ სამრეწველო საქმეებს აწარმოებდა, სპარსეთის შაჰმა უნობა ელიმისა და მწველამის პირველი ხარისხის ჯილდოები, ლურჯ ლენტზე სტარებდელი.

➤ **ქავკასიის ახალი ბანკის** წესდება დამტკიცებულ იქნა

➤ **ნიროზა** საქართველოს უმეტეს დაბა-ქალაქებში წარმოდგენა-სადამოების გამართვით იაინიშნა.

➤ ნეხლბანის თეატრი მოსკოვში იანვრის 14 დღისით დაიწყო. ცეცხლო განად ფარდის მხრით, სწრაფად გაიხარდა, და შთანთქა დეკორაციები, ერთ საათში სპირტელამდე გაანადგურა სცენა, დარბაზის თიქმის ნ. ხეცა და ფოთე, ტვირი მთლად ჩამოწვა. ზარალი 300,000 მან. უდრის. თეატრი და ავეჯი დაზღვეული ყოფილა.

➤ **სომეხთა დრამ** სახ-ას განუზრახავს თბილისში საკუთარი თეატრის აშენება.

➤ **ებრაელთა სახალხო თეატრის** სცენის მოყვარე ქალს ე. მ. კოვან-ავუსტოსკის ებრაელთა დრამ. წრემ სახალხო სახლში იანვ. 14 ათის წლის მოღვაწეობის საიუბილეო წარმოდგენა გაუმართა, მიაართეს თავთულები, ჯილდოები, ხოლო მრავლად დამსწრე სახ-ბამ ვაშა-ტაშით. დააჯილდოვა. წრემ თვის სიტყვაში მადლობა გადაუხადა, როგორც მუყაისთ. უანგარასა და ებრაელთა სახალხო სცენის გულწრფელ მოყვარულ მუშს.

## „თეატრი და ცხოვრების“

**ფონდის სახარკებლოდ ხარკვიდან.** „სადაში რედაქციას! ყურნაღის სასარკებლოთ გეგანათი ახალწლის მიჯიგებია სათვას ამხანაფთა შორის შეერებადს 14 მანეთს სტუდ. ვლ. ძალოინი.

— **ნადედა ლაზ ტურიაშვილი-მურუსიძისაგან** (თბილისი) 7 მ;

— **ვსოლ აბდლაძისაგან** (ჭერში. ეს მეორედ, —**წინად 5 მან.**) 2 მ.

— **კონსტ ლინიძისაგან** (კაკუკაე) 2 მ.

— **ექიმ მიხ. სამ. არჯევანიძისაგან** (კაკუკას. მოშქში. დაშქარი) 4 მ.

— **პოდპრ. კირილე ერასტ. მაჭარაძისაგან** (მოშქმელი დაშქარი, —**ეს მეორედ, წინად 20 მან.**) 15 მან.

➤ **შემოწირველთ** გულითად მადლობას ვუძღვნით.

**წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის წ.**  
 სათეატრო სალიტერატურო, სამხატვრო წლიური ხელის მოწერა მიიღებენ  
 კვირეული შარხალი ორ პრ. იანს

**თეატრი და  
 სსოპრება**

(წელიწადი შეხუთე)

გამოცვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

შარხალი პარტიამთა გარეშად, პროგრამული მიზანთაშენს

ყურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებულნი და ახალგაზდანი  
 კვირის მწერლები: მეგონები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შარხალის ფასი ორივე ბრეშით წელიწადში დანს 8 მან. ნახევარის წლით.  
 4 მან. 50 კახ. თითო ნაშენი უკვლავნი 15 კახ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად  
 შეიძლება: ხელის მოწერის დრას ვ მ, 1-მასამდე—მ მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2  
 ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპის“ სტამბის კანტორაში (მადათვის კენ-  
 ძული, № 1, ვორნცოვის მეორე ხილის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მოწერით ფული უნდა  
 გამოვხვენინ შემდეგის მისამართით: Тифлисе, ред. „Театри და Цховრება“ Иосифу Ине-  
 ძიასთან. რედაქტორ-გამომცემელი ანდა იმედაშვილის

**აკაქის** „ნაკვეთი და ბრძნული სი-  
 ტყუილი“ ავტორის სურათებით,  
 ფაქსიმილური და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიას** „რამული  
 აზრები“  
 ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

**ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქარ-  
 თველ ხელოვანთა საზ-ის თაოსნობით**  
 „დიდებას ტაძარში“ (კოლაგონის მრასმეტიკუბე)  
 ძველ ქართულ საეკ-  
 ლესიო ფრესკების გამოცენა  
 გამოცენა გაილა იანვრის 8, ღია დღისა 10 სათილა  
 შეადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50კ. მოწაფე—25კ.

**ახალი კლუბი** კვრას 22 იან-  
 ვარს დღით  
 ქართ. დრამ. საზ-ის ქრისტინე  
 დასის მიერ ირეთუჯის  
 დასაწყ. სალ. 12 ს. ფასი: 1-70 კ - 30 კ-დე.  
 რეისორი \* \* \* აღმინისტრ. დრამ. საზ-ბისა

**ხარფუხის საზო-  
 გალ კლუბი**  
 (მინეილის პროსპექტზე, № 163)  
 ერთი კვირის პროგრამა იანვრის 22-29  
 ორშაბათში—სინემატოგ. სიმეზ. ორკ.  
 სამშაბათში—სინემატოგრაფი: სიმეზ. ორკეს.  
 ოთხშაბათში—ქართული წარმოდგენა,  
 ხუთშაბათში—ოპერეტა რუსულ ენაზე.  
 პარასკევი—არშინ მალ-ალბა“, ქართულად  
 შაბათში—რუსული წარმოდგენა  
 ძმირა—სიმეზიანი ორკესტრი  
 შესახველელი ფასი: ქალები და სტუ-  
 დენტები—25 კ. მამაკაცი 50 კ.  
 დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტებისა  
 სალ. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

**ახალი კლუბი** კვირის 360  
 იანვრის 22-29

ქმირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30კ.  
 ორშაბათში—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.  
 სამშაბათში—სოჯახო საღამო  
 ოთხშაბ.—სინემატოგრაფი, სიმეზ. ორკ.  
 ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.  
 პარასკევი.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე  
 შაბ.—სოჯახო საღამო  
 ძმირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.  
 დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სით.  
 წარმოდგენისა და სინემატოგრ. სალ. 8 1/2 სა.  
 შმსახ. ფასი მინდილოსნი. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

